ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01243191428**
თარიღი: **14/11/2024**

ადრესატი: შპს ალფა ფროფერთი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404605094
მისამართი: ქ. თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა №24

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი, თქვენი 2024 წლის 6 ნოემბრის №10/01243113227-61 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე №01.16.03.058.081 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში AR11054870 განცხადებაზე წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა.

შესაბამისად, სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი“, ს/კ: 404605094, შემდგომში: მყიდველი) შორის 2021 წლის 29 აპრილს დადებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულების“ (შემდგომში: ხელშეკრულება) პირობებისა და ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, სააგენტოსა და მყიდველს შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების (შემდგომში: შეთანხმება) 4.3 და მე-16 პუნქტის თანახმად, ს/კ №01.16.03.058.081 ლოტის ფარგლებში, შეთანხმების მე-16 პუნქტით გათვალისწინებული პირობის (**„შეთანხმებით გათვალისწინებულ პირთათვის გადაცემის მიზნით“**) რეგისტრაცია, ზემოაღნიშნული პროექტის კორექტირების შედეგად, განხორციელდეს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

№	ბლოკი	სართული	ბინის №	საზაფხულო ფართი (კვ.მ)	საცხოვრებელი ფართი (კვ.მ)	საერთო ფართობი (კვ.მ)	მიწის ს/კ:	ბლოკი (საკადასტრო კოდით)
1	1	0.00 ნიშნული	1	0,00	115,20	115,20	01.16.03.058.081	I
2	1	0.00 ნიშნული	2	0,00	105,10	105,10	01.16.03.058.081	I
3	1	0.00 ნიშნული	3	6,20	76,40	82,60	01.16.03.058.081	I
4	1	0.00 ნიშნული	6	29,80	97,60	127,40	01.16.03.058.081	I
5	1	0.00 ნიშნული	7	11,40	41,00	52,40	01.16.03.058.081	I
6	1	0.00 ნიშნული	8	12,20	58,20	70,40	01.16.03.058.081	I
7	1	0.00 ნიშნული	9ა	0,00	37,90	37,90	01.16.03.058.081	I
8	1	0.00 ნიშნული	9ბ	0,00	46,30	46,30	01.16.03.058.081	I
9	1	0.00 ნიშნული	10	0,00	64,50	64,50	01.16.03.058.081	I
10	1	0.00 ნიშნული	11	0,00	49,70	49,70	01.16.03.058.081	I
		0.00						I

11	1	ნიშნული	13	0,00	41,10	41,10	01.16.03.058.081	
12	1	+3,30 ნიშნული	14	40,30	127,50	167,80	01.16.03.058.081	I
13	1	+3,30 ნიშნული	21ა	24,90	52,00	76,90	01.16.03.058.081	I
14	1	+3,30 ნიშნული	21ბ	9,40	40,70	50,10	01.16.03.058.081	I
15	1	+3,30 ნიშნული	22	9,10	64,50	73,60	01.16.03.058.081	I
16	1	+6,60 ნიშნული	34	9,10	64,50	73,60	01.16.03.058.081	I
17	1	+9,90 ნიშნული	46	9,10	64,50	73,60	01.16.03.058.081	I

შესაბამისი არქიტექტურული პროექტის ცვლილების შემდგომ, ზემოაღნიშნულ ბინა-ერთეულებზე უნდა განხორციელდეს კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.

ამასთან, ს/კ №01.16.03.058.080, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 ლოტების ფარგლებში, შეთანხმების მე-16 პუნქტით გათვალისწინებული პირობის (**„შეთანხმებით გათვალისწინებულ პირთათვის გადაცემის მიზნით“**) რეგისტრაციის განხორციელებაზე, სააგენტოს 2023 წლის 22 დეკემბრის №61-01233564306 წერილით გაცემული თანხმობა (მასში სააგენტოს 2024 წლის 05 ივნისის №61-01241573637 და 2024 წლის 17 ოქტომბრის №61-0124291586 წერილებით შესული ცვლილებების გათვალისწინებით), აღნიშნული კორესპონდენციებით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე რჩება უცვლელი.

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი